

სპორტული შფოთვის და მწვრთნელის მოლოდინის გავლენა მოთამაშის
სპორტულ შედეგზე

ანა კვაჭაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კვაჭაძე.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში განუელი სამუშაოსთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, მალხაზ მაყაშვილს. მისი დახმარების, ცოდნის გაზიარების და მხარდაჭერის გარეშე, გამიჭირდებოდა არსებული ნაშრომის დასრულება.

მადლობა სპორტულ სააგენტო სბმ ეგენსის, რომელმაც მომცა საშუალება კვლევა ჩამეტარებინა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე.

მადლობას ვუხდი თაკო აბესაძეს, სპორტული სააგენტო სბმ-ის თანამშრომელს, რომელიც მეხმარებოდა 250 ცდისპირის გამოკითხვის დროს.

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს მარიამს და ბაიას, რომლებიც ჩემთან ერთად ითვლიდნენ კვლევის შედეგებს.

მადლობას ვუხდი ჩემს მეუღლეს, რომელიც მეხმარებოდა და მაძლევდა შენიშვნებს ნაშრომზე მუშაობისას.

მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს და მეგობრებს, რომლებიც მგულშემატკივრობდნენ.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს შვილს მათეოს, რომლისთვისაც გაუგებარია ჯერ, თუ რატომ მქონდა შეზღუდული მასთან ურთიერთობის დრო ნაშრომზე მუშაობისას.

აბსტრაქტი

შფოთვა თანამედროვე სპორტული ფსიქოლოგიის საკვლევი აქტუალური პრობლემაა. ამ მიმართულებით საქართველოს მასშტაბით კვლევა არ ჩატარებულა.

კვლევის სამიზნე აუდიტორია იყო დარბაზის (ფუტსალის) მოთამაშე ფეხბურთელები. მონაწილეობა მიიღო 250 ცდისპირმა, აქედან 60 პროფესიონალი დარბაზის ფეხბურთის მოთამაშე და 190 მოყვარული სპორტსმენი.

კვლევაში გამოყენებული იქნა სამი ინსტრუმენტი, სპილბერგერის სიტუაციური შფოთვის სკალა (STAI), სპორტული შფოთვის სკალა (SCAT) და მწვრთნელის მოლოდინის საზომი სკალა.

შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი ცვლადები: დამოკიდებული ცვლადი - სპორტსმენის შედეგი, დამოუკიდებელი ცვლადები - შფოთვა სპილბერგერის მიხედვით, შფოთვა სპორტული შფოთვის საზომი სკალის მიხედვით და მწვრთნელის მოლოდინი.

ნაშრომის საკვლევი მიზნებია:

(1) სპორტსმენის შფოთვას და შედეგს შორის კავშირის დადგენა (სპილბერგერის და სპორტული შფოთვის სკალის მიხედვით). (2) მწვრთნელის მოლოდინსა და მოთამაშის შედეგს შორის კორელაციის არსებობის დადგენა. (3) პროფესიონალ და მოყვარულ სპორტსმენებში არსებული განსხვავების დადგენა. (4) სპორტული შფოთვის სკალის ვალიდაცია არსებულ ცვლადებთან მიმართებაში.

მონაცემების დამუშავება მოხდა სტატისტიკური პროგრამის SPSS მეშვეობით. მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი გამოვლინდა შფოთვასა და მოთამაშის შედეგს შორის, $r=-0.13$, $n=250$, $p<0.05$. ასევე გამოჩნდა, რომ მწვრთნელის მოლოდინი ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორია სპორტსმენის შედეგთან მიმართებაში ($t=5.733$, $p<0.001$). რაც შეეხება პროფესიონალ და მოყვარულ სპორტსმენებს შორის განსხვავებას, სპილბერგერის სიტუაციური შფოთვის კითხვარის მიხედვით გამოიკვეთა, რომ მოყვარულებს ($M=44.63$, $SD=5.97$) და პროფესიონალებს ($M=41.90$, $SD=8.07$) შორის

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება (mean difference=2.732, $t=2.821$, $p<0.01$). რაც შეეხება სპორტული შფოთვის სკალას, ის არ კორელირებს არ ერთ არსებულ ცვლადთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შფოთვა, სპორტული შფოთვა, SCAT, STAI, მწვრთნელის მოლოდინი, სპორტული შედეგი.

Abstract

Anxiety is an actual problem in modern sports psychological researches. In this sphere no researches were made in Georgia.

The target audience were gym-hall footballers. 250 participants took part in research, among them were 60 professional and 190 amateur players.

Three research tools were used: STAI (State-Trait Anxiety Inventory), SCAT (Sport Competition Anxiety Test) and Trainers Expectation Measuring Scale.

Accordingly, the following research variables were revealed: dependent variable – sportsman's result, independent variables – anxiety according Spielberger, according sports anxiety measuring scale and trainer's expectation.

Research goals of this work are:

(1) To determine the relation between sportsman's anxiety and result (according to Spielberger and sports anxiety scale). (2) To determine the existence of correlation between trainer's expectation and player's result. (3) To determine the difference between professional amateur sportsmen. (4) Validation of Sports Anxiety Scale for existent variables.

Data were treated by means of statistical program SPSS. Important negative relation was revealed between anxiety and player's result, $r=0.13$, $n=250$, $p<0.05$. Also, it appeared that trainer's expectation is the most important predictor for sportsman's result ($t=5.733$, $p<0.001$).

As for the difference between professional and amateur sportsmen, according to Spielberger questionnaire, between amateurs ($M=44.63$, $SD=5.97$) and professionals ($M=41.90$, $SD=8.07$) statistically considerable difference is fixed (mean difference= 2.732 , $t=2.821$, $p<0.01$). As for the Sports Anxiety Scale, it doesn't correlate with existent variables.

Key words: *anxiety, sports anxiety, SCAT, STAI, trainers expectation, sports result.*